შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47(9.907)

14-21დეკემბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს

გვ.3

ახალი ფორმები გადაეცათ

გ 3 . 3

ტრადიცია და გლობალიზაცია- თანამედროვე სამყაროს გამოწვევა

გვ. 6

დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული პროექტები დასკვნით ეტაპზეა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები დასკვნით ეტაპზეა. ქ. დედოფლისწყაროსა და სოფელ ოზაანში მიმდინარე სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა რეგიონული პროექტების სამსახურის კოორდინატორთან, გიორგი კიკნაძესთან კიდევ ერთხელ მოინახულა.

ამ დროისათვის ოზაანის ადმინისტრაციულ ერთეულში სრული რეაბილიტაცია უტარდება საჯარო სკოლისაკენ მიმავალ გზას, ქ. დედოფლისწყაროში ქიზიყის ქუჩასა და კონსტიტუციის ქუჩის მონაკვეთზე მონტაჟდება საკანალიზაციო სისტემა, ასევე მიმდინარეობს N2 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, უახლოეს პერიოდში დასრულდება სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მშენებლობაც.

პარლამენტმა 14 კანდიდატი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დაამტკიცა

გვ. 2

11 თვეში ტურიზმიდან შემოსავლებმა $3 მილიარდს გადააჭარბა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა $3 051 424 548 შეადგინა. ზრდა +1.2% -ია, რაც 2018 წლის 11 თვის მაჩვენებელზე $ 35,4 მილიონით მეტია.

2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით, შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან $201 734 437 გაუტოლდა (ზრდა 5.6%), რაც $10,6 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2019 წლის I-II კვარტლის მონაცემებით 7.7%-ს შეადგენს. ზრდა წინა წელთან შედარებით +19.7%-ია

C M Y K

ნათია თურნავა - ადამიანები მიდიან და მოდიან, ერთ პროფესიონალს მეორე შეცვლის, მაგრამ საპენსიო რეფორმა ცალკეულ საკადრო გადაწყვეტილებაზე არაა დამოკიდებული

ადამიანები მიდიან და მოდიან. ერთ პროფესიონალს მეორე პროფესიონალი შეცვლის, მაგრამ საპენსიო რეფორმა არც ერთ ცალკეულ საკადრო გადაწყვეტილებაზე არაა დამოკიდებული, - ასე ეხმაურება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა „საპენსიო სააგენტოს" დირექტორის განცხადებას, რომ თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს განცხადებით მიმართა.

ნათია თურნავას განცხადებით, როგორც მისთვის არის ცნობილი, ლევან სურგულაძეს კერძო სექტორში გადასვლის სურვილი აქვს.

„ძალიან წარმატებულია ჩვენი საპენსიო რეფორმის პირველი ეტაპი, რაც მათ შორის ლევან სურგულაძის დამსახურებაა. განვიხილავთ მის წინადადებას, შევხვდებით, გავესაუბრებით და მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომელიც რეფორმის წარმატებისთვის იქნება საჭირო", - აცხადებს თურნავა.

საპენსიო სააგენტოს დირექტორმა, ლევან სურგულაძემ თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს განცხადებით მიმართა. მან შესაბამისი განცხადება 9 დეკემბერს საპენსიო სააგენტოს სათაო ოფისში მედიის წარმომადგენლებთან გააკეთა.

ირაკლი სესიაშვილი - გიგა ბოკერია და გიგი უგულავა დემოკრატიაზე მე ვერ დამელაპარაკებიან, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, მათ ადამიანის უფლებები გააუპატიურეს

გიგა ბოკერია და გიგი უგულავა დემოკრატიაზე მე ვერ დამელაპარაკებიან ერთი მარტივი მიზეზის გამო, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, სამწუხაროდ, მათ ადამიანის უფლებები გააუპატიურეს, - ამის შესახებ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა ჟურნალისტებს პარლამენტთან მიმდინარე აქციის კომენტირებისას განუცხადა. როგორც მან აღნიშნა, აქციას მარგინალური ჯგუფები მართავენ.

"ჩემი ერთადერთი დისკომფორტი ის არის, რომ პოლიციელები მოცდენილი არიან თავის საქმეს, ქვეყანაში დაიცვან წესრიგი და უწევთ ამ მარგინალურ ჯგუფებთან წესრიგის დაცვა, რომ არ მოხდეს რაიმე ინციდენტი. მათ ერთადერთი რამ ამოძრავებთ, ეს არის რევანში. გიგა ბოკერია და გიგი უგულავა დემოკრატიაზე მე ვერ დამელაპარაკებიან ერთი მარტივი მიზეზის გამო, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, სამწუხაროდ, მათ ადამიანის უფლებები გააუპატიურეს. როცა იყვნენ ხელისუფლებაში, მაშინ ემართათ ქვეყანა დემოკრატიულად. ის რა პროცესებიც დღეს მიმდინარეობს, აბსოლუტურად ჯდება დემოკრატიულ ჩარჩოში, მათ აქვთ უფლება პროტესტი გამოხატონ, მათ სურთ, რომ ქვეყანაში იყოს არასტაბილური ვითარება და დესტაბილიზაცია. ჩვენ გვინდა ვემსახუროთ ქვეყანას და ვალდებულებიც ვართ. შესაბამისად, ჩვენ ამას გავაკეთებთ", - განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

აკაკი ზოიძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, „ქართული ოცნების" დეპუტატს აკაკი ზოიძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა.

აკაკი ზოიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარი 85-მა დეპუტატმა დაუჭირა. საკითხს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

„მინდა მას როგორც ჩვენს კოლეგასა და მეგობარს მადლობა გადავუხადო გაწეული სამუშაოსთვის. ის იყო არაერთი რეფორმატორული პაკეტის ინიციატორი და ის იყო ჩართული როგორც კომიტეტის, ასევე სხვა მნიშვნელოვანი რეფორმების განხილვაში. მინდა მას წარმატებები ვუსურვო შემდეგ საქმიანობაში," - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

შეგახსენებთ, რომ აკაკი ზოიძემ პარლამენტის დატოვების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული კანონპროექტი პარლამენტმა ჩააგდო.

ნიკა მელიას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა

„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერ ნიკა მელიას სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა.

ნიკა მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარი 88-მა დეპუტატმა დაუჭირა, საკითხს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა მელიასთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დააყენა, რაც ბანკი „ქართუს" გაკოტრების საქმეზე, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნაწილში მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნა მიღებული. ნიკა მელიას 25 000 - ლარიანი ჯარიმა დაეკისრა. ასევე დამატებით სასჯელად 2 წლით და 3 თვის ვადით თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა.

ელექტროგადამცემი ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში ენერგო-პრო-ჯორჯია " ელექტროგადამცემი ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებს ახორციელებს. კომპანიის ინფორმაციით, ღია სადენები 4 კმ მანძილზე დახურული სადენით შეიცვალა, 152 აბონენტისთვის მოეწყო ახალი აღრიცხვის კვანძი და განხორციელდა ახალი კარადების მონტაჟი. ამორტიზებული საყრდენები რკინაბეტონის ახალ საყრდენით იცვლება. ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ენერგო- პრო ჯორჯიამ წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ელექტროგადამცემ ქსელზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ხუთ სოფელში განახორციელა. ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში უკვე ათასამდე აბონენტს მოუწესრიგდა აღრიცხვის კვანძი. სტაბილური და ხარისხიანი ელექტროენერგიის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით სამუშაოები რეგიონის ყველა დასახლებულ პუნქტში ეტაპობრივად განხორციელდება.

პარლამენტმა 14 კანდიდატი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დაამტკიცა

პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს 14 მოსამართლე დაამტკიცა, მათ შორის არიან: გენერალური პროკურორი შალვა თადუმაძე (89 ხმით), მისი მოადგილე მამუკა ვასაძე (88 ხმით) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე (85 ხმით).

უფრო დეტალურად, პარლამენტმა მხარი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შემდეგ კანდიდატებს დაუჭირა: მერაბ გაბინაშვილი - 86 ხმა, მირანდა ერემაძე - 83 ხმა, მამუკა ვასაძე - 88 ხმა, მაია ვაჩაძე - 90 ხმა, თამარ ზამბახიძე - 89 ხმა, შალვა თადუმაძე - 89 ხმა, ვლადიმერ კაკაბაძე - 86 ხმა, ლევან მიქაბერიძე - 89 ხმა, გიორგი მიქაუტაძე - 85 ხმა, ნუგზარ სხირტლაძე - 90 ხმა, ლალი ფაფიაშვილი - 88 ხმა, ნინო ქადაგიძე - 85 ხმა, ქეთევან ცინცაძე - 85 ხმა, ალექსანდრე წულაძე - 87 ხმა.

პარლამენტმა ჩააგდო შემდეგი კანდიდატები: თამარ ალანია - 0 ხმა, გოჩა ჯეირანაშვილი - 2 ხმა, ლაშა ქოჩიაშვილი - 2 ხმა, შოთა გეწაძე - 2 ხმა , პაატა სილაგაძე - 0 ხმა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დასამტკიცებლად საჭირო იყო 76 დეპუტატის მხარდაჭერა.

სხდომას არ დასწრებია არცერთი ოპოზიციონერი დეპუტატი. კენჭისყრამ ასევე ჩაიარა დამოუკიდებელი დეპუტატების გარეშე. უმრავლესობის წევრების გარდა, სხდომაზე მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი დეპუტატი, ეკა ბესელია იმყოფებოდა.

„ვეფხისტყაოსნის" უნიკალური გამოცემა დაიბეჭდა

„საქართველოს ბანკის" მხარდაჭერით, გაერთიანებული სამეფოს სეზონის (UK Season) პროგრამის ფარგლებში, ინგლისურ ენაზე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" უნიკალური გამოცემა დაიბეჭდა. პროექტის ავტორი გამომცემლობა „რუსთაველი 850"-ია.

როგორც „საქართველოს ბანკში" აცხადებენ, „ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემის უნიკალურობა მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილ ტექსტთან ერთად, არის ე.წ. წერეთლისეული ილუსტრაციები, რომელთა საქართველოში დაბრუნებაც უორდროპების ოჯახის დიდი დამსახურებაა.

„პირველად „ვეფხისტყაოსნის" სრული ინგლისური თარგმანი, რომელიც მარჯორი უორდოპმა შეასრულა, 1912 წელს, ლონდონში, ოლივერ უორდროპის მიერ გამოიცა (მარჯორი უორდროპი იყო საქართველოში გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენლის, ოლივერ უორდროპის და).

წერეთლისეულ ხელნაწერს და მასში დაცულ უცნობი მხატვრების მიერ შესრულებულ უნიკალურ ილუსტრაციებს საინტერესო ისტორია აქვს. მრავალი თავგადასავალის შემდეგ უნიკალური ხელნაწერი საბოლოოდ წერეთლების საკუთრება გახდა, მისმა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ის ყდაში ჩასვა, თბილისში ჩამოიტანა, მაგრამ გზაზე ეტლში დარჩა. ამის შემდეგ ხელნაწერი ექვთიმე თაყაიშვილს ჩაუვარდა ხელში. ექვთიმემ კი ის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა. მოგვიანებით, წერეთლების დაჟინებული მოთხოვნით, რამოდენიმე დღით ხელნაწერი კვლავ წერეთლებს გადაეცათ. თუმცა, ექვთიმეს მცდელობით ხელნაწერი უკან დაბრუნდა. სამწუხაროდ, ხელნაწერიდან 10 ილუსტრაცია ამოჭრილი იყო. 1911 წლის ბოლოს, ექვთიმე თაყაიშვილმა ოქსფორდიდან მიიღო ოლივერ უორდროპის წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ დაკარგულ ილუსტრაციებს ვაჭრები ლონდონში ყიდნენ. უორდროპმა გადაიღო სურათების ფოტოპირები და ექვთიმე თაყაიშვილს გამოუგზავნა თბილისში. სწორედ უორდროპების წყალობით გახდა ცნობილი სად ინახებოდა დაკარგული ილუსტრაციები, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა სამშობლოში დაბრუნა", - ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორც „საქართველოს ბანკში" აცხადებენ, მათთვის მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

„განსაკუთრებით ამაყები ვართ, რომ „საქართველოს ბანკს" ჩვენი წვლილი შეგვაქვს ეროვნული საგანძურის -„ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ენაზე ხელახლა გამოცემაში, რომელიც დამშვენებულია წერეთლისეული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის" 36 ილუსტრაციით, მათ შორისაა ის 9 ილუსტრაციაც, რომლის მოძიებაში და საქართველოში დაბრუნებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ოლივერ უორდროპს. „საქართველოს ბანკისთვის" მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წიგნის პრეზენტაცია ასევე ისტორიულ, „საკრედიტო საზოგადოების" შენობაში გაიმართა, რომელიც პირველი საბანკო ნაგებობაა თბილისში და რომელიც ბანკმა ისტორიული სახით შეინარჩუნა. „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით „საქართველოს ბანკი" პარტნიორთან ერთად კიდევ არაერთ სიახლეს გეგმავს. კერძოდ, შეიქმნა სპეციალური პლატფორმა shotarustaveli.ge, სადაც განთავსდება „ვეფხისტყაოსნის" ყველა გამოცემის ელექტრონული კატალოგი, გამოიცემა შოთა რუსთაველის აფორიზმების კრებული, რომლის მიზანია „ვეფხისტყაოსნის" პოპულარიზაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. მოხარული ვართ, რომ ჩვენ ამ ყველაფრის ნაწილი ვართ", - აცხადებენ „საქართველოს ბანკში".

ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა 12 დეკემბერს გაიმართა. შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა.

ბიუჯეტის განხილვას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერიის, საკრებულოს, ა(ა)იპ-ებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებმა მთავარი ფინანსური დოკუმენტის მთავარ მიმართულებებზე ისუბრეს.

2020 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დაგეგმილია 7 მილიონ 271 ათასი ლარით, რომელიც შედგება გადასახადებისგან და რომელიც 2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით 300 ათასი ლარითაა გაზრდილი. რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, 2019 წელთან შედარებით ის გაზრდილია 1 300 ათასი ლარით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წელს წარმოადგენს ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება, განათლება, კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი, მოსახლეობის ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვა. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ბიუჯეტი ეხმიანება იმ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომლებიც აქტუალურია საზოგადოებაში. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, წელსაც გაგრძელდება ბაღების, სკოლების, სოფლის ამბულატორიების რეაბილიტაცია, ასევე სოფლის განვითარების პროგრამები, რომლებიც რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ჯემალ კოტაშვილმა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებელი საკმაოდ კარგია, შედეგებს კი 2020 წლის ბოლოს დაითვლიან.

ბიუჯეტის პროექტს საკრებულო კენჭს 20 დეკემბრის სხდომაზე უყრის.

ახალი ფორმები გადაეცათ

დღეიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები სამსახურებრივ მოვალეობას სპეციალური ფორმებით შეასრულებენ.

მუქი ლურჯი ფერის ახალი კოსტიუმები ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელს კობა ქურციკიშვილსა და სპეციალისტებს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გადასცა.

მერმა თანამშრომლებს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა პროფესიულ საქმიანობაში შემდგომი წარმატებები უსურვა.

მერი ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს შეხვდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს შეხვდა.

შეხვედრამ უშუალო და თბილ გარემოში ჩაიარა. საუბარი არაერთ საინტერესო თემას შეეხო. მერმა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს პირობა მისცა, რომ მათი სამუშაო პირობები მომავალ წელს კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მერს ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ ნიკოლოზ ჯანიაშვილი ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობს და მათი მდგომარეობით ინტერესდება.

პრეზიდენტის ენის სახიფათო თავსატეხი

ზოგი ამბობს, რომ პრეზიდენტმა, უმაღლესმა მთავარსარდალმა აზრი ვერ ჩამოაყალიბა და ცოდნა-განათლების შექების ნაცვლად, ჯარის დამცირება გამოუვიდა; ზოგისთვის კი პრეზიდენტის განცხადება მავნებლური ხაზის ნაწილია. აღინიშნება რისკების არსებობა როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში - გაახარებს მტერს, დააფიქრებს პარტნიორებს. პრეზიდენტის ადმინისტრაცია და თავად სალომე ზურაბიშვილი განცხადების შინაარსის დამახინჯებასა და ბულინგზე მიუთითებენ.

რა თქვა და რის თქმა უნდოდა?

10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა თქვა:

„ჩვენ სხვა არც ჯარი გვაქვს, არც იარაღი და არც გვექნება, არც ის დიდი ეკონომიკური პოტენციალი, რომ უცებ დავიპყროთ თუნდაც რეგიონი, მაგრამ ჩვენ გვაქვს ის უზარმაზარი ძალიან ძლიერი იარაღი, რასაც ჰქვია ცოდნა, მეცნიერება, კულტურა და ძალიან მდიდარი რეგიონი ამ მხრივ, არა მხოლოდ დღევანდელი დღით, თავისი წარსულით, თავისი არქეოლოგიით, თავისი რელიგიით, თავისი ძირებით და თავისი მომავლით...“

ეს განცხადება საქართველოსა და კავკასიის შემსწავლელი მეცნიერებების საკოორდინაციო ცენტრის შექმნასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე გაკეთდა და მალევე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

11 დეკემბერს, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება. ტექსტის თანახმად:

სალომე ზურაბიშვილის სიტყვა „კიდევ ერთხელ დამახინჯდა“ და „კონტექსტიდან ამოვარდნილი სხვა ინტერპრეტაციით გავრცელდა“;

პრეზიდენტი „გულისხმობდა ჩვენი კულტურით მსოფლიოში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას“ და იმას, რომ „ჩვენ მსოფლიო შეგვიძლია დავიპყროთ კულტურით“;

პრეზიდენტის სიტყვები „არანაირად არ ეხებოდა საქართველოს თავდაცვის ძალებს და მათი ღირსების დაკნინებას“.

ПРЕЗИДЕНТИС АДМИНИСТРАЦИА ПРЕЗИДЕНТИС МИМАРТ ГУЛИНГЗЕ ЛАПАРАКОБС. ГУЛИНГС АХСЕНЕБС ТАВАД САЛОМЕ ЗУРАБИШВИЛИС САКУТАР ФЕИСБУКГВЕРДЗЕ ГАМО�ქВЕУНЕБУЛ განცხадебаши.

ზურაბიშვილი სვამს შეკითხვებს: “პრეზიდენტის ბულინგი რას ემსახურება?ვის აწყობს, პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტება? ხან მისი და პოლიციის, ხან მისი და თავდაცვის ძალების ან კიდევ მასსა და მმართველ გუნდს შორის ბზარის გაჩენა?”

თუმცა ამ შეკითხვებზე ტექსტში პასუხები არ არის მოცემული და არც ის არის ახსნილი - ***რატომ იყო აუცილებელი მეცნიერებასა და კულტურაზე საუბრისას ჯარისა და შეიარაღების არარსებობის თემის წამოწევა. პრეზიდენტი არც იმას ამბობს, რომ, ვთქვათ, უხეირო პარალელი გაავლო.***

რატომ არის სახიფათო?

„ჩვენ სხვა არც ჯარი გვაქვს, არც იარაღი და არც გვექნება, არც ის დიდი ეკონომიკური პოტენციალი, რომ უცებ დავიპყროთ თუნდაც რეგიონი...“ - როცა პრეზიდენტი და სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ასეთ სიტყვებს ამბობს, ოპონენტების აზრით, მნიშვნელობა აღარა აქვს კონტექსტს.

„ეს არის არაკომპეტენტური, გაუაზრებელი, საქართველოს უსაფრთხოებისთვის ზიანის მომტანი განცხადება“, - ამბობს საქართველოს ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე.

ანალიტიკოსმა რამდენიმე მთავარი აქცენტი ჩამოთვალა:

„რუსეთმა ეს სიტყვები შესაძლოა გამოიყენოს იმის დამადასტურებლად, რომ (მართალია, შესაძლებლობა არა აქვს, მაგრამ...) საქართველოს აქვს ოკუპირებული ტერიტორიების ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნების სურვილი“; „საქართველოს მტრებმა შეიძლება ისიც თქვან, რომ ქვეყანას აქვს მთლიანად რეგიონის დაპყრობის ამბიციაც, მაგრამ თავს მხოლოდ იმიტომ იკავებს, რომ შეესაძლებლობა არა აქვს“;

„ზურაბიშვილის სიტყვები შეიძლება აღქმულ იქნას იმის დასტურადაც, რომ ქვეყანაში მთლიანად მოშლილია თავდაცვის სისტემა“;

„ნატოსთან მიმართებით რომ ავიღოთ... თუ უმაღლესი მთავარსარდალი ამბობს - ჯარი არ გვყავს და შეიარაღება არ გვაქვსო, რომელ ნატოში გაწევრიანებაზეა მაშინ ლაპარაკი?!“

11 დეკემბერს, სალომე ზურაბიშვილისგან ბოდიშის მოხდა არაერთმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალამ მოითხოვა. ისინი თვლიან, რომ:

სალომე ზურაბიშვილმა შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს ჯარსა და მამაც ჯარისკაცებს, რომლებიც ხშირად სიცოცხლის ფასად იცავენ საქართველოს ინტერესებს;

სალომე ზურაბიშვილის განცხადება ძირს უთხრის საქართველოს არმიის სიძლიერეს და ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას;

მისი თქმით:

„ნებისმიერი ასეთი განცხადება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში უიმედობას უწყობს ხელს“;

„საქართველოს მოქალაქეებში ეს აძლიერებს განწყობას, რომ ქართული სახელმწიფო არ შედგა და იმედიც არ უნდა გვქონდეს“;

„რუსეთის მედიისთვის ყველა ასეთი განცხადება უბრალოდ ღვთის საჩუქარია - როდის და როგორ გამოიყენებენ, არავინ იცის“;

„ყველა ასეთი განცხადების შემდეგ, დამატებითი არგუმენტები ეძლევათ ნატოში საქართველოს გაწევრიანების მიმართ სკეპტიკურად განწყობილ სახელმწიფოებს“.

როგორ გაუგეს ზურაბიშვილს „ქართულ ოცნებაში“?

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები 11 დეკემბერს უშუალოდ პრეზიდენტის გაკრიტიკებას მოერიდნენ, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში მისი სიტყვების საპირისპიროს ამტკიცებდნენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, სოფო კილაძემ ზურაბიშვილის დაცვაც სცადა. კილაძე ფიქრობს, რომ პრეზიდენტს სათქმელის გადმოცემის პრობლემა ჰქონდა.

სოფო კილაძე: პრეზიდენტმა ალბათ ვერ გადმოსცა სათქმელი, რადგან საქართველოში არ არის გაზრდილი

„ყოველთვის, როდესაც ვსაუბრობთ ჯარზე და ჩვენს ღირსეულ ჯარისკაცებსა და ოფიცრებზე, ყოველთვის მეტი სიფრთხილით მოვეკიდოთ, რამდენადაც ეს უკავშირდება ჩვენს ეროვნულ გრძნობებსა და ემოციებს... ეს ჩვენი ახალგაზრდების პატრიოტული აღზრდისთვის არის მნიშვნელოვანი, რომ ყოველთვის ხაზი გავუსვათ ჩვენი ჯარის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისთვის“, - უთხრა ჟურნალისტებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა.

თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელიც ჯარის ადგილს ყველა ოჯახში ხედავს, სალომე ზურაბიშვილის განცხადებას „აბსოლუტურად მიუღებელი“ და „კატეგორიულად მიუღებელი“ უწოდა.

მან ასევე თქვა: „ქართული ჯარი არის ძლიერი და ჩვენ გვყავს გმირი სამხედროები - აი ეს მინდა ვუთხრა საქართველოს პრეზიდენტს“;

„მე, როგორც თავდაცვის მინისტრი გავაკეთებ ყველაფერს, რომ ქართული ჯარი კიდევ უფრო გაძლიერდეს“.

ლიტერატურული ქარტეხილები ანუ პრემია „საბა“- 2019

ლიტერატურაზე საუბრისას, თანაც ბოლო წლების ქართული ლიტერატურის ხსენებისას, პირველი რაც უმეტესობას აზრად მოსდის ეს ის „მსუყე“ პრემიაა, რომელსაც უკვე წლებია ქართველი მკითხველი აქტიურად ადევნებს თვალს. დიახ, თქვენ სწორად მიხვდით, ჩვენ ლიტერატურულ პრემია „საბაზე“ ვსაუბრობთ.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დაფუძნდა. მისი დამფუძნებლები „თიბისი“ ბანკი და რატი ამაღლობელია. პრემიის მიზანი გასული ერთი წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო წიგნებისა და ავტორების გამოვლენაა. პრემია “საბაზე” განიხილება გასულ წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე ლიტერატურული კრიტიკის და დოკუმენტური პროზის ნიმუშები. ლიტერატურული პრემია “საბა” გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

1.წლის საუკეთესო რომანი

2.წლის საუკეთესო პოეტური კრებული

3.წლის საუკეთესო პროზაული კრებული

4.წლის საუკეთესო პიესა

5.წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი

6.წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა

7.წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

8.უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი

9.ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი

10.პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის

გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ ჯილდოსთან ერთად, გადაეცემათ ფულადი პრემიები (2019 წელს გამარჯვებულები სპეციალურ პრიზთან ერთად გაზრდილი საპრიზო ფონდით დააჯილდოვდნენ: 4 000 ლარის ნაცვლად 6 000 ლარით, ხოლო ნომინაციაში „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ საპრიზო თანხა 8 000 ლარის ნაცვლად 10 000 ლარია), რომელსაც თიბისი გადასცემს. კონკურსის ჟიური 5 წევრისგან შედგება. ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება და მასში შედიან ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება. ჟიურის არ ჰყავს თავმჯდომარე. გამარჯვებულის გამოვლენა ხდება დახურული კენჭისყრით, მინიმუმ 3 ხმის მიღების შედეგად. 2019 წელს ჟიურის წევრების შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: გიორგი კეკელიძე, რუსუდან რუხაძე, ხათუნა ცხადაძე,ზაალ ანდრონიკაშვილი, თეა თოფურია. 8 დეკემბერს, კონსერვატორიის დარბაზში ლიტერატურული პრემია „საბას“ სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებულები გახდნენ:

•წლის საუკეთესო რომანი - აკა მორჩილაძე, „კუპიდონი კრემლის კედელთან“ (სულაკაურის გამომცემლობა)

•წლის საუკეთესო პროზაული კრებული - ზაალ სამადაშვილი, „ოსტატთან შეხვედრა“ (გამომცემლობა „ინტელექტი“)

•წლის საუკეთესო პოეტური კრებული - ზაზა ბიბილაშვილი, „ფაზლი“ (ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა)

•წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა - სულხან სალაძე, „უცნობი ძველი აჭარა“ (გაზეთი „ბათუმელები“)

•წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი - თემურ ბაბლუანი, „მზე, მთვარე და პურის ყანა (მანუშაკა მელოდება)“ (სულაკაურის გამომცემლობა)

•წლის საუკეთესო პიესა - ალექსანდრე ლორთქიფანიძე, „დისტოპიესები“ (გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“)

•წლის საუკეთესო ქართული თარგმანი - ნანა ტონია, ევრიპიდეს „ჰეკაბე“ (გამომცემლობა „ლოგოსი“) და ლელა დუმბაძე, ვირჯინია ვულფის „ორლანდო“ (სულაკაურის გამომცემლობა)

•პრემია ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის - მანანა გიგინეიშვილი

•წელს „საბას“ ჟიურიმ ვერ გამოავლინა მოკლე სია წლის საუკეთესო კრიტიკაში, და ამ ნომინაციისთვის განსაზღვრული ჯილდო, ასევე ჟიურის გადაწყვეტილებით, გადანაწილდა ორ სხვადასხვა ნომინაციაზე: ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა - ნინო ლომაძე, „ვაშლის ბაღები“ (გამომცემლობა „ინდიგო“) და ლიტერატურული დებიუტი - ნილს სიმეონი (გიორგი მასხარაშვილი), „14 კრისტალის თეორია“ (სულაკაურის გამომცემლობა).

„საბას“ დაარსების დღიდან სხვადასხვა მიზეზების გამო აკრიტიკებდნენ. კრიტიკა შეეხება კანდიდატების დასახელებასა და პრემიის გადაცემას შორის დროს, რადგან ის მცირეა. გარდა ამისა, ხშირად კრიტიკას ჟიურიც იწვევს, მისი წევრების რაოდენობა, თვითონ წევრები ანდაც ის ადამიანები, რომელთა გამარჯვებით საზოგადოებას ექმნება წარმოდგენა, რომ მეპურე პურს არ აცხობს, და მეწაღე კიდევ ფეხსაცმელს არ კერავს. წელსაც არ დააყოვნა კრიტიკისა თუ უკმაყოფილების გამოძახილებმა. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

„რაღაი გამარჯვებულებს არ ასამართლებენ- გილოცავთ ყველას, განსაკუთრებით ზაზა ბიბილაშვილს და ვინც გვიცნობს, იცის რატომაც, თორემ ისე არავისი წარმატება არ მწყენია. წლევანდელი „საბას“ შეფასებისგან კი თავს შევიკავებ. ეს ჩემს ძალებს აღემატება. ორად ორი ფრაზა მიტრიალებს თავში: მწერლობაც ისეთივე გვაქვს, როგორაც გვწვდება საბანი? მე ცოტა ოპტიმისტი კაცი ვარ. რა ვიცი“. - გიორგი ლობჟანიძე, **ქართველი პოეტი, მთარგმნელი, აღმოსავლეთმცოდნე.**

ასევე გიორგი ლობჟანიძის შეფასება: **„ასე მგონია, რომ აზრი არ აქვს ახალი კონკურსის დაარსებას. საქართველოში მაინც ყველაფერი დეგრადირდება. იმიტომ, რომ ჩვენ არც განათლება გვყოფნის რამის შესაფასებლად და არც ადამიანური რესურსი. ფოლკლორული ანსამბლის დონეზეც კი არ ვართ. დღეს გამოგვიცხადეს, რომ ლიტერატურული კრიტიკა არ არსებობს. და მჯერა, რომ ასეა. იმიტომ, რომ ლიტერატურული კრიტიკა, რომ იყოს, თვითონ ეს კონკურსიც მაღალი დონისა იქნებოდა. თორემ ერთეული ამოფრქვევები ვითარებას ვერ ცვლის.იდოს დავით წერედიანის წიგნი-შედევრი, თუ ვერავინ აღიქვა და გაიგო, შიგნით რა წერია! ვერ გადადებენ გულრგილად გვერდით თუ რა! იყოს ზაზა ჭილაძის ან თამარ ჯაფარიძის კონგენიალური თარგმანები, მაინც ვიღაცას დაამჯობინებენ, ვინც ერთ წელს ჟიურის წევრია, მეორე წელს - გამარჯვებული. მერე ისევ ჟიურის წევრი, მერე ისევ გამარჯვებული და ასე...ამ დროს ვინ არის თარგმანის ხარისხის რეალურად შემფასებელი? ვინმე ადარებს დედანს? ან რომ დაუჩემებიათ დაზეპირებული ფრაზები: ფაქიზად გადმოტანილი ნიუანსებიო. ყოვლად აღრეული სტილისტიკით მობლათნილ წიგნებზე. ლიტერატურისმცოდნეობა მეცნიერებაა. აქ კანონზომიერებები ფასდება და არა პირადი, ექსპრესული ვაივიშები!“**

შოთა იათაშვილის, **ქართველი კრიტიკოსისას და პოეტის შეფასება: „წლევანდელი ლიტერატურული პრემია „საბა“ აიღეს: კინორეჟისორმა, მხატვარმა, იურისტმა, ჟურნალისტმა, ტელეშოუს წამყვანმა, ქალაქის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ და ა.შ. კარგია, როცა ლიტერატურის საზღვრები ასე უკიდეგანოდ ფართოვდება“.**

ლიტერატურული პრემიების ქარცეცხლისა თუ ვნებათაღელვის შემდეგ, სასარგებლო იქნება ის რამდენიმე წიგნიც გირჩიოთ, რომელიც 2020 წლისთვის წიგნის სამყაროში ახალი შეგრძნებების შესაცნობად გამოგზაურებთ:

1. სვეტლანა ალექსიევიჩი–**„ომს არ აქვს ქალის სახე“ და „ჩერნობილის ლოცვა“** - ჩემთვის სვეტლანა ალექსიევიჩი 2019 წლის აღმოჩენაა. მისი ნაწარმოებები იმდენად რეალისტურია, იმდენად ნამდვილი და იმდენად ამაღელვებელი, რომ ნამდვილად ღირს წაკითხვად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბელარუსელი მწერალი ომის საშინელებებზე, ტრაგედიებზე, წუხილსა თუ გაჭირვებაზე წერს, მასთან ბევრია მეგობრობაც, სიყვარულიც, სიხარულიც და ის ელემენტარული ბედნიერებაც, რასაც ეს ყველა სიტყვა ერთმანეთში აერთიანებს.

2. თემურ ბაბლუანი-**„მზე, მთვარე და პურის ყანა - მანუშაკა მელოდება“- „სიყვარულს ასე თუ ისე სიცხადე შეაქვს იმ გაუგებრობაში, თუ რატომ ებღაუჭებიან სიცოცხლეს გამწარებით ეს საცოდავი ადამიანები“.** ძალიან რთულია, დაამტკიცო შენი უდანაშაულობა, როცა კრიმინალები მოკვლით გემუქრებიან, პროკურატურისთვის მთავარია, საქმე გახსნილად გამოაცხადოს, „გამოვლენილი დამნაშავე“ გააციმბიროს ან თუნდაც დახვრიტოს. კიდევ უფრო რთულია, ნახევარი ცხოვრება სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო გაატარო ციხეში, სადაც შეიძლება ჭლექმა მოგიღოს ბოლო, თუ ვინმეს თვალში არ მოუხვედი, სიცოცხლეს გამოგასალმოს ან სულაც უბრალოდ ჭკუიდან შეიშალო. დიახ, რთულია. თუმცა ამ ყველაფრის გაძლება და მასთან ბრძოლაც კი შეიძლება, როცა იცი, რომ შენს დაბრუნებას ვიღაც, თუნდაც მხოლოდ ერთი ადამიანი ელოდება. ცნობილი ქართველი რეჟისორის, თემურ ბაბლუანის „მზე, მთვარე და პურის ყანა (მანუშაკა მელოდება)“ სათავგადასავლო რომანია, რომელშიც აღწერილი ერთი თბილისელი ბიჭის დარდითა და ტკივილით სავსე ცხოვრების ამბავი ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

3. ჰარპერ ლი-**„ნუ მოკლავ ჯაფარას“** - მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა საზოგადოებამ ეს წიგნი შედარებით გვიან, 1980-იანი წლების ბოლოს გაიცნო, ის მაინც პოპულარული გახდა და ყველა ასაკის მკითხველისთვის სამაგიდო წიგნად იქცა.“ნიუ იორკერმა” ეს წიგნი მარტივად, ორი სიტყვით დაახასიათა: “აბსოლუტურად გენიალური”. სულ ერთია, საკუთარი ბავშვობა ბედნიერად გახსენდება თუ არა — ჰარპერ ლი ბედნიერ ბავშობაში დაგაბრუნებს. ყველაზე ჰუმანური, ყველაზე ცხოვრებისეული, ლაღი და ამავდროულად მძიმე თემატიკით დატვირთული მრავალფურცლიანი წიგნი იმდენ რამეს გასწავლით, თქვენთვისაც კი გასაოცარი იქნება ის პიროვნული ცვლილებები წიგნის წაკითხვის შემდეგ რომ იგრძნობთ. გეგონებათ, რომ ის თქვენს საზოგადოებას, თქვენს სოციუმსა თუ გარემოს მოარგო მწერალმა, რომელმაც სამყაროს ატიკუს ფინჩი აჩუქა. მარტოხელა მამა, საოცარი მრჩეველი და საკუთარ სინდისს აყოლილი ადამიანი, რომელიც საკუთარ შვილებსაც ადამიანებისადმი თანაგრძნობასა და სიყვარულს უნერგავს. სწორედ ამ სიკეთის წიგნმა, მილიონობით ადამიანს დაუტოვა შეტყობინება, რომ ადამიანების უმეტესობა კარგია, როდესაც მათ ახლოდან გაიცნობ და ყველაზე მთავარი: არასოდეს უნდა მოვკლათ ჯაფარა! თუ გინდათ გაიგოთ, რატომ, ამისთვის აუცილებლად წაიკითხეთ ეს წიგნი!

4. ერიკ ემანუელ შმიდტი-**„პილატეს სახარება“**-„პილატეს სახარება“, მიუხედავად მარტივი წერის სტილისა, მკითხველს ფილოსოფიური სიღრმით ავსებს და ამავე დროს ოსტატურად ატარებს იეშუას განვლილ რთულ გზაზე, სადაც ჰაერი მცხუნვარე მზითდამწიფებულ ფორთოხლის სურნელითა და პალესტინის უძველესი მიწის მტვრითაა გაჟღენთილი. ემანუელ შმიტი ამავდროულად ბიბლიური სიზუსტით გადმოსცემს ფაქტებს, ხოლო მეორეს მხრივ უშუალო წერის სტილი ბიბლიურ ანტიკურობას არბილებს და თანამედროვეობის ელფერსაც კი სძენს, სადაც პალესტინის ძველი ყოფა ხელისგულზეა გადაშლილი. ბიბლიური მოვლენების შმიტისეული აღწერა მისტიურ ემოციებს უტოვებს მკითხველს. ნოველის მთავარი ხაზია იეშუასა და პილატეს განცდები და აზრები, თუ რას ფიქრობდნენ, რისი ეშინოდათ და რა ადამიანურ ემოციებს განიცდიდა ეს ორი უმთავრესი ბიბლიური პერსონაჟი 21 საუკუნის წინ, ქრისტიანობის აღმოცენების კარიბჭესთან.

5. იუსტაინ გორდერი - **„სოფის სამყარო“**-ყველაფერი იწყება ასე : 14 წლის სოფი ამუნდსენი ერთ მშვენიერ დღეს ორ უცნაურ ანონიმურ წერილს მიიღებს. წერილებში ერთი შეხედვით მარტივი კითხვები წერია — “ვინ ხარ შენ?”, “როგორ შეიქმნა სამყარო?”. მიიღებს ღია ბარათსაც, რომელიც ვინმე ჰილდე მოლერ კნაგის სახელზეა გამოგზავნილი. ამ დღიდან მოყოლებული სოფის ცხოვრება მთლიანად იცვლება, გოგონა ყოველ დღე ახალ წერილს იღებს და ეცნობა ფილოსოფიის გრძელსა და ადამიანის აზროვნების განვითარების ისტორიას დემოკრიტედან მოყოლებული დეკარტით, კანტით, ჰეგელით, ფროიდით და სხვა მრავალი ფილოსოფოსით დამთავრებული. „ყველაფერი მიედინება, თქვა ჰერაკლიტემ. ყველაფერი მუდმივ დინებასა და მოძრაობაშია. არაფერია უცვლელი. ამიტომაც, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შევალთ. როცა მეორედ შევდივარ, არც მე და არც მდინარე იგივენი აღარ ვართ” - გაეცანით „სოფის სამყაროს“ და აღმოაჩინეთ მანამდე თქვენთვის უცნობი, ფსიქოლოგიის სამყარო.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

პატარა ქმედებებით დიდ ცვლილებებამდე

ამ დღეებში ჩვენს რაიონში მცხოვრებ შშმ პირს (შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირს), 34 წლის ზურაბ ზურაშვილს ვესტუმრეთ. ავტოავარიის შედეგად იგი პირველი ჯგუფის ინვალიდია. გვაინტერესებდა, რა დახმარებას იღებდა და როგორ ცხოვრობდა იგი. პირველ რიგში საინტერესო იყო, რას გრძნობდა ზურა საზოგადოების მხრიდან, როგორი იყო მის მიმართ დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ მას არანაირი პრობლემა არა აქვს, ხალხი თბილად ესალმება, ადამიანები კითხულობენ მის ამბავს და საზოგადოებაც, უმეტესად, კეთილგანწყობილია. რაც შეეხება სოციალურ დახმარებას, მან აღნიშნა, რომ იძულებულია, ეკონომიურად იცხოვროს. მინიმალურ დონეზე შეძლოს გათბობა

და იმყოფინოს დახმარების თანხები. კითხვაზე, თუ რაზე ოცნებობს, ჩაფიქრდა და ასეთი პასუხი გაგვცა: „მინდა მძონდეს სარეცხი მანქანა, რომ ჩემი და (ზურაზე მეურვეობა მის დას აქვს ალებული) ნაკლებად შევაწუხოო...“ *თვითონ განსაჯეთ, რამდენი სიკეთეა ამ ადამიანში...*

შშმ პირების პრობლემებთან დაკავშირებით ვესაუბრეთ **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახულის უფროსს** ქალბატონ **დოდო ხუნაშვილს:**

„ჩვენს ბაზაში ირიცხებიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ მოგვმართავენ. მონაცემებს სოციალური დახმარების სააგენტოდან ვიღებთ. წელს 18 წლამდე ასაკის შშმ პირის სტატუსის მქონე პირებად სააგენტოში დაფიქსირებულია 39 ადამიანი. ჩვენთან მათი დაფიქსირება ხდება სარეიტინგო ქულების მიხედვით და აღრიცხვაზე გვყავს 13 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვი და 92 მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი. ეს არის ჩვენი სტატისტიკა დღევანდელი მონაცემებით. ჩვენს მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე მოქალაქეებს. ამას საერთაშორისო კონვენციაც გვავალდებულებს. შესაბამისი კანონები არსებობს ამასთან დაკავშირებით და ჩვენც მზად ვართ, კანონით გათვალისწინებული დახმარება გავუწიოთ მათ. სოციალური დახმარების წესი, რომელიც დადგენილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის, 71-ე დადგენილებით, გულისხმობს იმას, რომ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს ვეხმარებით სხვადასხვა კუთხით, აგრეთვე, ე.წ. მეორე ჯგუფის ინვალიდებს. ეს არის ყოველთვიური და ერთჯერადი ფინანსური დახმარებაც. ბენეფიციარი, რომელზეც არის გათვლილი ჩვენი სოციალური დახმარება და აკმაყოფილებს დადგენილი წესით გათვალიწინებულ პირობებს, მას აუცილებლად ვეხმარებით თვეში 18 ლარით, მოხმარებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად. ამ შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია, წარმოგვიდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, სტატუსის დამადასტურებელი საბუთები: აბონენტის ნომერი და სად უნდა ჩავურიცხოთ ეს თანხა. თუ მას გააჩნია 150 000-მდე ოჯახის სარეიტინგო ქულა, ჩვენ მას ვეხმარებით ყოველთვიურად. ეს დახმარება დამოკიდებულია ბენეფიციარის სურვილზე – თვითონ არჩევს ელექტროენერგიის გადასახადის დაფარვა ურჩევნია თუ ბუნებრივი აირის. ვინაიდან, ჩვენი პროგრამა არის ერთწლიანი, გვაქვს ასეთი შეღავათიც,12 თვის განმავლობაში,ამოირჩიოს თავისი სურვილით,რამოდენიმე თვე ელექტროენერგიის გადასახადი ჩავურიცხოთ და დანარჩენი ბუნებრივი აირის. ვაძლევთ მანევრირების საშუალებას. გვაქვს აგრეთვე 18 წლამდე შშმ ბავშვთა ოჯახების დახმარება. წინა წლებში შედარებით დაბალი იყო ეს თანხა, გასულ წელს გაიზარდა და გახდა 18 ლარი. გვაქვს აგრეთვე მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების ერთჯერადი დახმარებაც,რომელიც გულისხმობს,ზამთრის სეზონზე ერთჯერადად გათბობის ხარჯის უზრუნველყოფის მიზნით,100 ლარის ოდენობით ერთჯერად ფულად დახმარებას (ანუ ე.წ. შეშის თანხა). ბენეფიციარს მოაქვს ბანკიდან ანგარიშის ნომერი და ჩვენ ამ ანგარიშის ნომერზე ვურიცხავთ 100 ლარს. წლის დასაწყისში გვიმტკიცდება სოციალური დახმარების გაცემის ახალი წესი და ჩვენი სოციალური დახმარების პროგრამაც დგება წინა წლების პროგრამების სტატისტიკიდან გამომდინარე. ანალიზის საშუალებით გათვლებს ვაკეთებთ, როგორი მდგომარეობა იქნება მომავალ წელს. შესაბამისად ბიუჯეტიც ამის მიხედვით დგება. გვაქვს ქვეპროგრამებიც სამედიცინო კუთხით. სამედიცინო მომსახურების დაფინანსებით, უფასო კვების ობიექტით სარგებლობის და გარდა მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისა და 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა, ერთჯერადი ფინანსური დახმარებით სარგებლობენ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზრუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებიც. აქტიურად ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თითქმის სრულად არიან უზრუნველყოფილი ეტლებით.ორგანიზაცია უანგაროდ ეხმარება შშმ პირებს და ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ძალიან მარტივად, ყოველგვარი ბარიერების გარეშე, მიმდინარეობს ეს პროცესი. ჩვენთან მოაქვთ „ფორმა 100“ და ექიმის კომპეტენტური დასკვნის შემდეგ, რომ ეს პიროვნება საჭიროებს ეტლს,ხდება მათი დაკმაყოფილება. თანაც ეს ერთჯერადი პროცესი კი არ არის, ეტლის დაზიანების შემთხვევაში, შეუძლია მოგვმართოს ბენეფიციარმა და ორგანიზაცია მოაგვარებს ყველანაირ პრობლემას. ამისთვის დიდი მადლობა მათ, რომ თავიანთი თანადგომით ახარებენ ჩვენს ბენეფიციარებს. ხშირად ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მოდის წერილები, დაკავშირებით თუ რა კეთდება შშმ პირების დასახმარებლად. მინდა გითხრათ, რომ ძირითადი დაწესებულებები აღჭურვილია პანდუსებით და აქვს სრული ხელმისაწვდომობა ამ კუთხით, რომ თავი არ იგრძნონ დისკრიმინირებულად. ბოლოს დავძენ, რომ ჩვენი ბენეფიციარები კმაყოფილები არიან, რადგან ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობთ გავაუმჯობესოთ მათი ცხოვრების პირობები“-აცხადებს **დოდო ხუნაშვილი.**

დღესდღეობით საქართველოში 140 000 და მეტი შშმ პირია. მათთვის სხვადასხვა სახის მომსახურებები არსებობს, მათ შორის, დღის ცენტრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები და სხვ. ეს მომსახურებები, სამწუხაროდ, არ არის საკმარისი და ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა გადასაჭრელია. ერთ-ერთ მწვავე პრობლემას, სწორედ მათი სოციალიზაცია წარმოადგენს. სამწუხაროა, მაგრამ უამრავი ოჯახი მალავს, რომ შშმ ბავშვი ჰყავთ, არ გამოჰყავთ სახლიდან გარეთ, ეს კი გამოწვეულია საზოგადოების დამოკიდებულებისაგან. უამრავი ადამიანი, როდესაც ქუჩაში შშმ პირს ხედავს, არაადეკვატურად იქცევა და მათი ქმედებები, როგორც შშმ პირებისათვის, ასევე მათთან მყოფი პირებისათვის, არასასიამოვნო და დამთრგუნველია. ჩვენი საზოგადოება სათანადოდ არ არის ინფორმირებული შშმ პირების შესახებ. ქართულ რეალობაში, უმეტეს შემთხვევაში, არსებობს სტიგმა, თითქოს შშმ პირს არაფრის კეთება არ შეუძლია და სრულიად უუნაროა, ხალხს ეცოდება ასეთი ადამიანები და მხოლოდ სიბრალულს, ზოგჯერ კი, პირიქით, ზიზღს, აბრესიას გამოხატავენ და ბრაზდებიან, რომ მათ შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად არიან და თამაშობენ, თითქოს მათ არ აქვთ ამის უფლება. ამის გასამართლებლად კი ამბობენ, რომ ისინი “აშინებენ” თავიანთი გარეგნობითა და ქცევებით ბავშვებს. ჩემი აზრით, რაც შეიძლება მეტი ღონისძიება უნდა ჩატარდეს შშმ პირებთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს საზოგადოებისათვის ინფორმირებულობა, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ისეთივე გრძნობები და ემოციები აქვთ, როგორც ჩვენ. ისინი ხალხის დამოკიდებულებას გრძნობენ და ძალიან განიცდიან, როდესაც მათ მიმართ უარყოფით ემოციებს გამოხატავენ. მათთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანებთან ურთიერთობა, საზოგადოებასთან ინტეგრაცია, სითბოს გამოხატვა, ყოველთვის გრძნობენ ჩვენს დამოკიდებულებას და ეს მათზე ან დადებითად მოქმედებს და უფრო მეტი სტიმული ეძლევათ და ცდილობენ უფრო მეტი შეძლონ, ან, პირიქით, უარყოფითად მოქმედებს და დემოტივირებულები არიან, ძალიან განიცდიან უარყოფით დამოკიდებულებას და ეს მათ ქცევებზეც აისახება.

ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში უამრავი შშმ პირი დასაქმებულია და მუშაობს, საზოგადოებას არ უკვირს მათი ქუჩაში დანახვა და არ იშვერენ თითს მათ დანახვაზე. ამასთანავე, გაცილებით უკეთ ადაპტირებული გარემო აქვთ, ტრანსპორტი, პანდუსები მათთვის მორგებულია და ქუჩაში გამოსვლაც მეტ-ნაკლებად უსაფრთხოა. შშმ პირების სოციალიზაციისათვის

უმნიშვნელოვანესია განათლების მიღება, მათ თავიდანვე უნდა იცხოვრონ, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანებმა და არ უნდა გამოირჩეოდნენ საზოგადოების სხვა წევრებისაგან. აუცილებელია, შშმ პირების ოჯახის წევრებმა გაიაზრონ, რომ მათი სახლში ჩაკეტვა და საზოგაოებისაგან დამალვა უარესია და ეს არა მარტო მათზე მოქმედებს უარყოფითად და მათთვის არის ზიანის მომტანი, არამედ ეს მთელი ერისა და საზოგადოების პრობლემაა და აუცილებელია მასთან „ბრძოლა“.

ცნობილია, რომ სახელწიფო პროგრამებით, შშმ პირებს უზრუნველყოფენ სავარძელ-ეტლებით, კიდურების პროტეზებით და ა.შ, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე ეს მათთვის გამოუსადეგარია. საინტერესოა, როგორ უნდა დაეხმაროს ეს მოწყობილებები სოციალურ ინტეგრაციაში, რეაბილიტაციასა და დასაქმებაში, როდესაც შშმ პირების უმრავალესობამ მათი გამოყენებაც კი არ იცის და არც გარემო უწყობთ ხელს,ვერ ახერხებენ სოციალური სტატუსის გაუმჯობესებას. როგორც სახალხო დამცველის მოხსენაშია ნათქვამი, სოციალური ინტეგრაციის ღონისძიება არ გულისხმობს ადამიანის მხოლოდ მექანიკური მოწყობილობებით უზრუნველყოფას, არამედ, მოიცავს ამ მოწყობილობების საშუალებით მისი სოციალური ფუნქციონირების ხარისხის გაზრდასაც, რაც ვერ იქნება ერთჯერადი ქმედების საგანი. შშმ პირებისათვის აუცილებელია სკოლის ასაკის პერიოდიდანვე საზოგადოებაში ინტეგრაცია და უნარ-ჩვევების გაუჯობესება. იმისათვის, რომ მათ შეძლონ განათლების მიღება, პირველ რიგში, აუცილებელია, ადაპტირებული გარემო, შენობა-ნაგებობები, სკოლები ისე უნდა იყოს მორგებული შშმ პირებისათვის, რომ ადვილად და უსაფრთხო გარემოში მოახერხონ გადაადგილება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინკლუზიური განათლებაც. ჩვენს ქვეყანაში სულ 10 ინკლუზიური სკოლაა, რაც ძალიან ცოტაა, დაახლოებით 110 ადამიანს აქვს საშუალება ისარგებლოს ამ მომსახურებით. ასევე უმნიშვნელოვანესია კვალიფიციური პედაგოგები, მათთვის ტრენინგების ჩატარება და შშმ პირების შესახებ უამრავი ინფორმაციის მიწოდება, რათა ეფექტურად შეძლონ როგორც ურთიერთობის დამყარება, ასევე, განათლების სწორი და სათანადო მიწოდება.

ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს გაერთიანებული ერების 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ითვალისწინებს შშმ პირთა სოციალურ დაცვას, საცხოვრებელი შენობებითა და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებით სარგებლობის უზრუნველყოფას, მათ სამედიცინო, პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციას, განათლების, შრომის უფლების რეალიზაციას, დისკრიმინაციის აკრძალვას და სხვა. კონვენციის რატიფიცირება უზრუნველყოფს ყველა ვალდებულებების მაღალი სტანდარტით დაცვას, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ამ დოკუმენტს საქართველომ ხელი 2009 წლის 10 ივლისს მოაწერა, თუმცა საქართველოს პარლამენტის მიერ დღემდე არ არის რატიფიცირებული. ამ დოკუმენტის ძალაში შესვლით სახელმწიფოს გაუჩნდება ბევრი ვალდებულება, რომლის შესრულებაც მოეთხოვება კიდეც. შესაბამისად, გაკეთდება უფრო მეტი რამ შშმ პირთა ინტეგრაციისათვის.

ყველას უნდა ესმოდეს, რომ შშმ პირები არ არიან საზოგადოებისათვის საშიშნი, ისინი ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ, განსხვავება ისაა, რომ მათ ზოგიერთი აქტივობის განხორციელება ან სრულიად არ შეუძლიათ, ან ისე ზედმიწევნით ვერ ასრულებენ, როგორც ჩვენ შეგვიძლია. არავინ იცის, ხვალ რა მოხდება და როგორ შეიცვლება თითოეული ჩვენგანის ცხოვრება. პრობლემები, რომლებიც დღეს შშმ პირებს აწუხებთ, ძალზედ მწვავეა და ეს ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ესმოდეს. ვიცი, რომ ამ ყველაფრის ერთ დღეში და ერთ წელში მოგვარება შეუძლებელია, თუმცა, ყველა ადამიანმა თავისი პატარა წვლილი რომ შეიტანოს, შედეგი ნამდვილად გვეძნება. მიმაჩნია, რომ ეს პრობლემა სოციალურია და არავინ იცის, ვის, როდის, რა დასჭირდება.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

სოფლების კურთხევა დედოფლისწყაროში

უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე, საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე სულიერი განახლებისა და აღორძინების პროცესში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ღვთისმშობლისადმი საყოველთაო თაყვანისცემის ტრადიციის აღდგენას.

2018 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს წმინდა სინოდის განჩინებით 12 მაისის გამოცხადება ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღედ, არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ამ საეკლესიო ტრადიციის სიღრმისეული გაცნობიერებისა და სრულყოფილი აღორძინებისათვის. ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღესასწაულის დაწესება უპირველესად, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლიდან ქრისტიანობის ორიათასწლოვანი ისტორიის გახსენებას ნიშნავს. სიმბოლურია, რომ ჩვენ წელს ასევე აღვნიშნავთ, წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის 1700 წლისთავს.

სწორედ ამიტომ, 2019 წლის 10 დეკემბერს დეკანოზმა ლევანმა, იღუმენ სერაფიმესთან ერთად სოფ. არბოშიკის წმ. ივლიტესა და კვირიკეს სახელობის ტაძარში ღვთისმშობლისადმი პარაკლისის აღვლენის შემდეგ ამავე ტაძრის მრევლთან და პატრიარქის ჩოხოსნებთან (მეთაური - გიორგი ალადაშვილი) ერთად ლიტანიობით აკურთხა სოფელი არბოშიკი, აქ მცხოვრები ოჯახები და მრევლი. გარდა ამისა, მრევლმა და სასულიერო პირებმა მოსახლეობას ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი და აწყურის ყოვლადმწინდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატების ასლებიც გადასცეს. გარდა ამისა, მოსახლეობას გადაეცა მცირე, შემეცნებითი წიგნი „საქართველო - ღვთისმშობლის წილხვედრი“. ლიტანიობის დასრულების შემდეგ ტაძარში ჩატარდა ზეთისცხებაც. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ მსვლელობაში სოფლის მომავალი თაობა იყო აქტიურად ჩართული. **„მოგილოცავთ დღევანდელ დღეს. ღვთის წყალობით, ჩვენი უწმინდესის ლოცვა-კურთხევითა და ჩვენი მეუფის კურთხევით, აღესრულა პარაკლისი ღვთისმშობლისადმი. ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ღვთისმშობელს ხვდა წილად საქართველო ქრისტიანობის საქადაგებლად და გასავრცელებლად. აქედან გამომდინარე, ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ დღესასწაული „წილხვდომილობა ღვთისმშობლისა“, რომელსაც წელიწადში ერთხელ აღნიშნავდნენ ხოლმე. შემდეგ, ჟამთა არეულობისა და სულიერების დაცემის გამო, ადამიანმა დაივიწყა ღმერთი, ღვთის სიყვარული და ეს ტრადიციაც გაქრა. ამიტომ, უწმინდესმა გამოაცხადა, რომ კვლავაც აღდგეს ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია. მიუხედავად დღევანდელი ცხოვრებისა, ღვთისმშობლის მეოხება ყოველთვის იყო საქართველოზე, ქართველ ერზე, მართლმადიდებლებზე, და ამ ლოცვითა და ვედრებით ჩვენ ღვთისმშობელს ვავედრებთ ჩვენს სოფელს, ოჯახებს, სამშობლოს, რომ დაიცვას და იხსნას ის ბოროტებისაგან.“** - მიმართა მრევლს დეკანოზმა ლევანმა.

გარდა სოფელი არბოშიკისა, დეკანოზმა ლევანმა სოფელი ოზაანიც აკურთხა. ეკურთხა სოფელი ზემო მაჩხაანიც, სადაც საზეიმო მსვლელობა დეკანოზმა გიორგიმ აღავლინა.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ტრადიცია და გლობალიზაცია- თანამედროვე სამყაროს გამოწვევა

თანამედროვე სამყაროში გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადი გახდა. ბევრი ფიქრობს, რომ გლობალიზაცია ემუქრება ქვეყნის თვითმყოფადობას და კულტურას. როგორ შეიძლება, რომ მსოფლიოში ინტეგრირება სწორად გამოვიყენოთ და ჩვენი კულტურული ფასეულობებიც შევინარჩუნოთ?

ეთნომუსიკოსმა,ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა და დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქემ, გია ბაღაშვილმა დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე საგანმანათლებლო სემინარი „ტრადიცია და გლობალიზაცია“ წარმოადგინა. სემინარი განთლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის - „კულტურის ხელშეწყობის“ ფარგლებში ჩატარდა.

პროექტის მიზანია ქართული ეთნოკულტურული ტრადიციების განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმოჩენა თანამედროვე გამოწვევების ჭრილში.

ქართული ზეპირსიტყვიერება, უნიკალური მრავალხმიანობა, საუკეთესო ნიმუშია იმის, თუ როგორ არის შესაძლებელი მრავალსაუკუნოვან, ურთულეს ისტორიულ კონტექსტში, თვითმყოფადობის შენარჩუნების გზით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულების კულტურული მემკვიდრეობის შექმნა.

გლობალიზაციის ეპოქაში, წარმატების მისაღწევად, საუკეთესო მოდელების მოძიება, სწორედ ეროვნული კულტურის წიაღშია შესაძლებელი. თანამედროვე გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით, ტრადიციულ ფასეულობებზე აღზრდილი ახალგაზრდა, გაცილებით მეტის მიღწევას შეძლებს.

ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

გია ბაღაშვილი კულტურის ცენტრის დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ქართული ტრადიციების წარმოშობასა და გლობალიზაციის ეპოქაში მათ შენარჩუნებასა და დაცვაზე ესაუბრა .

სემინარმა მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ქართველ ხელოვანსა და მეცნიერს სტუმრობისთვის და საინტერესო საუბრისათვის მადლობა გადაუხადა და სურვილი გამოთქვა, რომ მან საგანმანათლებლო სემინარი დედოფლისწყაროელებისთვის კიდევ წარმოადგინოს.

გლობალიზაცია არის მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიღწევების გაცვლის და გაზიარების პროცესი, რომელიც აახლოებს ქვეყნებს და კონტინენტებსაც კი. გლობალიზაცია მე-20 საუკუნის დასაწყისის ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად აღმოცენდა, თუმცა თავდაპირველად ამ პროცესს მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა და საერთო ბაზრების შექმნას, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას და გაადვილებას აღნიშნავდა. დღესდღეობით გლობალიზაცია კიდევ უფრო ფართო მოვლენაა და არა მხოლოდ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობებს, არამედ კულტურული ტრადიციების, არქიტექტურული და სხვა საყოფაცხოვრებო ტენდენციების, ინფორმაციის და იდეების გაცვლას და დაახლოებასაც გულისხმობს. მარტივი მაგალითის სახით, გლობალიზაციის შედეგია, რომ საქართველოში შეგვიძლია შევიძინოთ გვატემალაში ან ეგვიპტეში წარმოებული ნივთი ან პროდუქტი, გავსინჯოთ იაპონური სუში ან იტალიური, ტრადიციული პიცა, ავაშენოთ ცათამბჯენები და გვქონდეს წვდომა უახლესი მოდელის ტელეფონებზე. ინტერნეტის, გლობალური ქსელების განვითარებამ, რომლის მეშვეობითაც ყველა მოვლენა და სიახლე მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში მისვლას მხოლოდ წუთებს ანდომებს, გლობალიზაციის პროცესი გარდაუვალი გახადა.

* * *

გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი მოვლენაა. კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე, ტექნოლოგიური და ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით, რომელიც გეოგრაფიულადაც აახლოებს ყველაზე შორეულ კონტინენტებსაც კი, იგი ფაქტიურად გარდაუვალია, თუმცა გლობალიზაციას კვლავ ჰყავს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები.

გლობალიზაციის მომხრეთა თვალსაზრისით, ეს ფენომენი ურიცხვ ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს ადამიანებს, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების მცირე მწარმოებლებს. საერთო ბაზრები, ერთიანი წესებით და რეგულაციებით საშუალებას აძლევს განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებსაც, საკმაოდ დაბალ ფასებში შესთავაზონ საკუთარი პროდუქცია სხვა ქვეყნების მომხმარებელს.

ასევე გლობალიზაციის შედეგია შრომითი ბაზრების გახსნაც, რაც ისევ და ისევ, პირველ რიგში, განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებისთვის არის ხელსაყრელი.

და პირიქით, გლობალიზაციის შედეგად, ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო ხშირია მსხვილი ინვესტორების შემოსვლა, რომლებსაც აქ ბევრად უფრო იაფი მუშახელი და ინფრასტრუქტურა ეგულებათ. ეს მოვლენა კი ხსენებულ ქვეყნებს ახალ სამუშაო ადგილებს და ეკონომიკის განვითარების შანსს აძლევს.

გლობალიზაცია ასევე, მეტ შესაძლებლობებს ქმნის იდეების გაცვლისთვის, მაღალი კლასის განათლების მიღებისთვის და ამგვარად ხელს უწყობს კაცობრიობის წინსვლას. დღესდღეობით ამისთვის ფიზიკური გადაადგილება აღარ არის აუცილებელი, რაც გაცილებით აადვილებს და აიაფებს განათლების მიღების, იდეების გაცვლის, სიახლეების შექმნის და დანერგვის პროცესებს.

გლობალიზაციის შედეგად ადამიანებს აქვთ სხვა კულტურისადმი იოლი წვდომა, ბევრად უკეთ იცნობენ სხვა ერების ტრადიციებს, რაც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა ტოლერანტობის კულტურის განვითარებისთვის.

თუმცა მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ მიუხედავად ახალი შესაძლებლობებისა და უცხოურ ბაზრებზე წვდომისა, გლობალიზაციამ მაინც ვერ შეძლო ქვეყნების განვითარების დონეების დაახლოება და ვერ აღმოფხვრა ის უფსკრული, რაც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის დღემდე არსებობს. ანტიგლობალისტების აზრით, საერთო ბაზრები და გლობალური ეკონომიკური პროცესები ისევ მდიდრების და მმართველი კლასის სასარგებლოდ ფუნქციონირებს, ხოლო დაბალ ფენებს კვლავ ძველებურად უწევთ არსებობისთვის ბრძოლა.

არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ ქვეყნების და რეგიონების დაახლოება ცუდად აისახება ტრადიციებსა და ერების თვითმყოფადობაზე - თითქმის ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე არქიტექტურაა, ერთსა და იმავე ფილმებს უყურებენ ან სიმღერებს უსმენენ, ერთსა და იმავე საკვებს მიირთმევენ. ეს კი განსაკუთრებით აღიზიანებთ ნაციონალისტურად განწყობილ ადამიანებს. თუმცა არიან ისეთებიც, რომელთა აზრითაც, აღნიშნული ფენომენი სხვა მხრივ არის უარყოფითი - მოგზაურობა უკვე აღარაა იმდენად საინტერესო, როგორც რამდენიმე ათეული წლის წინ, ვინაიდან იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ყოველდღიური ცხოვრება, ტანსაცმელი, ტრანსპორტი და საკვები ძალიან მსგავსია.

რასაკვირველია, ისეთი კომპლექსური მოვლენა, როგორიც გლობალიზაციაა, ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი არ იქნება ყველა ქვეყნისთვის თუ ადამიანისთვის. გლობალიზაცია გვთავაზობს შესაძლებლობებს, რომელთა კარგად თუ ცუდად გამოყენება ისევ ცალკეული სახელმწიფოების და ინდივიდების საქმეა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ერთი მარტივი მაგალითი გამოდგება – პრაქტიკულად არავინ უარყოფს, რომ ინტერნეტის განვითარება დადებითი მოვლენაა, თუმცა სწორედ ინტერნეტის განვითარებამ გაუხსნა ახალი “შესაძლებლობები” დანაშაულებრივ სამყაროს და ტერორიზმს. თუმცა ფაქტია, რომ ამის გამო ინტერნეტის აკრძალვა არცერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს აზრადაც კი არ მოსვლია.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

აზერბაიჯანელი მესაზღვრის მიერ საქართველოს მოქალაქის დაჭრის ფაქტზე ახალი დეტალები ხდება ცნობილი

დავით გარეჯში 6 დეკემბერს მომხდარი სროლის და საქართველოს მოქალაქის დაჭრის ახალი დეტალები ხდება ცნობილი. სოფელ ლამბალოს მცხოვრებლები ყვებიან, რომ 26 წლის რამინ ნიზამი ოღლუ თავის არეში აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა პირადი დაპირისპირების ნიადაგზე დაჭრეს. შემთხვევა სოფელ იორმუღანლოსთან, დავით გარეჯიდან რამდენიმე კილომეტრში მოხდა. მათი თქმით, შელაპარაკების და ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, მესაზღვრემ მწყემსს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. თავის არეში დაჭრილი კი განჯის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

საინფორმაციო სააგენტო Day.Az. აზერბაიჯანის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ინციდენტი, რომლის შედეგადაც საქართველოს მოქალაქე 26 წლის რამინ ბაქიროვი დაიჭრა, ე.წ. ჯეირანჩოლთან ახლოს მოხდა.

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქემ ცხვრის ფარასთან ერთად საზღვრის გადაკვეთა სცადა, რა დროსაც აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა შეაჩერეს. მეცხვარის ძაღლები მესაზღვრეებს თავს დაესხნენ, მესაზღვრეებმა ჰაერში გაისროლეს, მაგრამ ძაღლები ვერ მოიგერიეს და მათ ესროლეს. Day.Az წერს, რომ სავარაუდოდ ამ დროს დაიჭრა მწყემსიც, ის თავის ცხენთან ერთად მიწაზე დაცემული იპოვეს. სააგენტოს ინფორმაციით, მესაზღვრეებმა მას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და შემდეგ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

როგორც ჩანს, მწყემსსა და მესაზღვრეს შორის დავა საზღვრის გამო მოხდა. მწყემსები შეჩვეულები არიან და იციან კონკრეტული ადგილები, რომელიც საქართველოს წესით ეკუთვნის და მათ იქ ცხვრის გადევნის უფლება ჰქონდათ. ახლა ხომ ეს საზღვრების დადგენა მიდის თუ რა ხდება, კაცმა არ იცის, ამაზე შელაპარაკებულან. მწყემსს უთქვამს, რომ ეს საქართველოს ტერიტორიაა და საზღვარს არ არღვევდა. ამაზე იჩხუბეს, მერე ფიზიკურ დაპირისპირებაში გადასულა და მესაზღვრეს თავში უსვრია. ახლი ვერსია მოიფიქრეს, რომ ვითომ თავს ძაღლები დაესხათ. შემთხვევა იორმუღანლოსკენ მოხდა",-აცხადებს სოფელ ლამბალოს მცხოვრები. მწყემსის დაჭრის ფაქტს სოფელ ლამბალოს რწმუნებული მიხეიდარ ალიხანოვიც ადასტურებს. ის ამბობს, რომ დაჭრილი მწყემსის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია და ის ახლა განჯის საავადმყოფოში მკურნალობს. მასთან სანახავად მისი მშობლები ჩავიდნენ. თუმცა საზღვარზე რეალურად რა მოხდა, არავინ იცის. ამასვე აცხადებს სოფლის რწმუნებულიც. ადგილობრივებისგან განსხვავებით კი აზერბაიჯანული მხარე და მედია შემთხვევის სრულიად სხვა ვერსიაზე საუბრობენ. აზერბაიჯანული გამოცემა წერს, რომ ინციდენტი ჯეირანჩოლის მახლობლად მოხდა, სადაც მწყემსმა ცხვრის ფარასთან ერთად საზღვრის გადაკვეთა სცადა, სადაც ის მესაზღვრეებმა შეაჩერეს".

აზერბაიჯანის სასაზღვრო დანაყოფმა ცხვრის ფარა ტერიტორიიდან გაიყვანა, რა დროსაც ფარის მცველი 10 ძაღლი მესაზღვრეებს თავს დაესხა. მათ კი თავდაცვის მიზნით ჰაერში გაისროლეს, თუმცა, გამაფრთხილებელმა გასროლამ შედეგი არ გამოიღო და მათ ძაღლებს დაუწყეს სროლა. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს დაიჭრა მწყემსიც - მესაზღვეებმა ის თავის ცხენთან ერთად მიწაზე დავარდნილი იპოვეს. აზერბაიჯანული მხარე კი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მომხდარი ინციდენტის შესახებ განცხადებას ავრცელებს. სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ცნობით, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლას ორი მწყემსი ცდილობდა, რომელთაც თან ძაღლები ახლდათ. განცხადების მიხედვით, ძაღლები აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს დაესხნენ თავს, რა დროსაც აზერბაიჯანელებმა ცეცხლი გახსნეს და ინციდენტისას შემთხვევით, ერთ-ერთი მწყემსი დაჭრეს.

"დათვალიერების შემდეგ გაირკვა, რომ მას თავის არეში ცეცხლსასროლი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. მას აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. მწყემსის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. ის, საქართველოს მოქალაქე და საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს მკვიდრია",- წერია განცხადებაში. მომხდარს საქართველოს შს სამინისტროშიც ადასტურებენ. მათ ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ 6 დეკემბერს მომხდარი ინციდენტის დროს საქართველოს მოქალაქე შემთხვევით დაშავდა და ამ ფაქტს იძიებენ. თუმცა შსს დამატებით არაფერს ამბობს თუ რა ვითარებაში, კონკრეტულად რა ადგილას დაჭრეს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე მწყემსი. შსს-ს ცნობით, პაციენტი უკვე მოინახულეს შს სამინისტროს და აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა. საქმეზე ასევე აზერბაიჯანის სამხედრო პროკურატურამ გამოძიება დაიწყო".

სოფელ არბოშიკში 60 წლის ქალის მკვლელობის საქმეზე 3 პირი დააკავეს

პოლიციამ 6 ნოემბერს დედოფლისწყაროს სოფელ არბოშიკში მომხდარი მკვლელობა გახსნა. 61 წლის თამარ სეფიაშვილი-ბაღაშვილის მკვლელობისთვის შსს-მ სამი პირი დააკავა, რომელთაგან ერთი გარდაცვლილის თანაკლასელი, სოფელ არბოშიკის მკვიდრი ტარიელ ლამაზოშვილია. ის ძალოვანი უწყების თანამშრომლებმა იმ დროს დააკავეს, როცა არალეგალური გზით აჭარიდან თურქეთში გადაპარვას ცდილობდა, მასთან ერთად საზღვრის გადალახვას კიდევ ერთი თანამზრახველი ცდილობდა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე 3 პირი დააკავეს: 1959 წელს დაბადებული ტარიელ ლამაზოშვილი, 1974 წელს დაბადებული დ.ჯ. და 1992 წელს დაბადებული თორნიკე მანჯავიძე.

თელავის რაიონულმა სასამართლომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში მომხდარ ყაჩაღობაში ბრალდებულ სამივე დაკავებულს პატიმრობა შეუფარდა. 11 დეკემბრის სხდომაზე ბრალდების მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის მოთხოვნით იმით დაასაბუთა, რომ სამივე პირი წარსულში ნასამართლევია, ისინი ერთმანეთს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან იცნობენ, ამასთან არსებობს მტკიცებულებების განადგურებისა და ბრალდებულების მიმალვის საფრთხე. დაცვის მხარის ადვოკატი, ერთ-ერთი ბრალდებულის, თორნიკე მანჯავიძისათვის 10 000 ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა და ამტკიცებდა, რომ მანჯავიძე მკვლელობის ღამეს შემთხვევის ადგილას საერთოდ არ ყოფილა. თუმცა, სასამართლომ შუამდგომლობა არ გაითვალისწინა. წინასასამართლო სხდომა 2020 წლის 4 თებერვალს, 15 საათზე ჩაინიშნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები 2019 წლის 6 ნოემბერს, ძალადობის გამოყენებით, ყაჩაღურად თავს დაესხნენ სოფელ არბოშიკში მცხოვრებ, 1959 წელს დაბადებულ თ.ბ.-ს, რის შემდეგაც მისი საცხოვრებელი სახლიდან ფული და სამკაულები გაიტაცეს. თავდასხმის შედეგად ქალბატონი გარდაიცვალა.

შსს-ს ცნობით, პოლიციამ ორი ბრალდებული - ტ.ლ. და დ.ჯ. აჭარაში იმ დროს დააკავა, როდესაც ისინი სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, არალეგალური გზით, თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას გეგმავდნენ. ჯგუფის მესამე წევრი - თ.მ. კი სამართალდამცველებმა ქალაქ რუსთავში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სამკაულები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობის და ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ბ" ქვეპუნქტებით მიმდინარეობს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სოფელ არბოშიკში ამბობენ, რომ დაკავებულთა შორის არის გარდაცვლილის თანაკლასელი ტარიელ ლამაზოშვილი. დანარჩენი დაკავებულები დაზარალებული ოჯახისთვის უცხოა. ერთერთი ვერსიით, სავარაუდოდ, მსხვერპლმა თავდამსხმელები ამოიცნო, რის გამოც ის სიცოცხლეს გამოასალმეს.

ცნობილია, რომ მარტოხელა ქალი ფულს აპროცენტებდა, ამიტომ სოფელში მომხდარს სწორედ ყაჩაღობას უკავშირებდნენ, რადგან თვითმხილველებს საცხოვრებელი სახლი არეული დახვდათ. ძალოვან უწყებაში განმარტავენ, რომ ყაჩაღობის შედეგად წაღებული ნივთები ამოღებულია.

„გაოგნებულები ვართ ოჯახში... ოქრო ამოვიცანით ძალიან ბევრ სხვა ნივთთან ერთად, რომელიც პოლიციამ დაკავებულის სახლში აღმოაჩინა! რაც თავიდანვე გვქონდა ჩვენებაში დაფიქსირებული. ფოტოსურათებიც რომელიც საქმეში დისკზეა. ძალიან ძლიერი პოლიცია გვყავს! უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა კახეთის სამხარეო პოლიციის თვითოეულ თანამშრომელს და განსაკუთრებით დედოფლისწყაროს რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსს ვანო პაპოშვილს, იმ დაუღალავი შრომის და უძილო ღამეებისთვის, რაც მათ გასწიეს საიმისოდ, რომ მიზნისთვის მიეღწიათ და დამნაშავე დასჯილიყო, " - აღნიშნავს გარდაცვლილის შვილი, ირმა ბაღაშვილი.

მომხდარის დეტალებს „შირაქთან" იხსენებს იმ ოჯახის წევრი, სადაც ჩხრეკა განხორციელდა და მოპარული ოქროს ნივთები აღმოჩნდა. „ძალიან შეძრწუნებულები ვართ იმით, რაც მოხდა და ძალიან დასტრესილები. ბიძაჩემია და ძნელია დავიჯერო, რომ მან საკუთარ სოფელში ასეთი რამ გააკეთა. მე არც ვიცავ და არც იმას ვამბობ რომ დამნაშავეა. სანამ საბოლოოდ არ გაირკვება ყველაფერი წინასწარ არ ვაპირებ ან გავამართლო ან გავამტყუნო, მაგრამ რაც კვირას საღამოს ჩემს ოჯახში მოხდა კარგათ დადგმული სპექტაკლი იყო. ყველას კარგად მოგეხსენებათ ტარიელის წარსულიც და მისი აზროვნებაც. აქედან გამომდინარე როგორ გგონიათ, რომ მან თანასოფლელი ქალი დააყაჩაღა, შემდგომ მოკლა და მოპარული ოქრო დამალა იმ სახლში, სადაც მისი ძმისშვილი ცხოვრობს 3 მცირეწლოვან შვილთან და დედასთან ერთად. სადაც ყოველთვის თუ რამე ხდებოდა პირველი ჩხრეკის ობიექტი იყო ჩემი სახლი. კვირას, ღამის 3საათზე, დაეცნენ ჩემს ოჯახს. შევარდნენ შუაღამეს ჩემს სახლში სადაც მხოლოდ დედაჩემს და ჩემს 3 შვილს ეძინა. პირდაპირ ავიდნენ მეორე სართულზე გადაწიეს ლეიბი და ოქრო ამოიღეს ისე თითქოს წინასწარ იცოდნენ სად იქნებოდა ნივთმტკიცება. დანარჩენს დრო და იმედია ობიექტურად ჩატარებული გამოძიება დაადგენს," - აღნიშნავს დაკავებულის ძმიშვილი თაკო ლამაზოშვილი.

შეგახსენებთ, ყაჩაღობა სოფელ არბოშიკში მიმდინარე წლის 6 ნოემბერს მოხდა, რის შედეგადაც, მარტოხელა ქალი გარდაიცვალა. გარდაცვლილი, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ახლობლებმა ე.წ. სკოჩით დაბმული და გარდაცვლილი აღმოაჩინეს.

თავდასხმა ქართველ სამხედროებზე ავღანეთში

ავღანეთში 18-წლიანი ომი გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონმა დაჯგუფება "თალიბანთან" მოლაპარაკება გაანახლა და დისკუსია უსაფრთხოების გაზრდის საკითხებს შეეხებოდა, ავღანეთი კიდევ ერთხელ გახდა ტერირისტული აქტის მსხვერპლი. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ თუკი აშშ თავის სამხედრო კონტიგენტს ავღანეთიდან გაიყვანს, ეს სახელმწიფო შესაძლოა "ტერირისტების სავანე" კიდევ ერთხელ გახდეს. ავღანეთში, ბაგრამის ავიაბაზის მახლობლად მომხდარ ტერაქტს მოჰყვა მსხვერპლი, არიან ათეულობით დაშავებულები, მათ შორის ხუთი ქართველი სამხედრო მოსამსახურე მსუბუქად დაშავდა. ტერორისტების მთავარი სამიზნე ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად მშენებარე სამედიცინო დაწესებულება იყო.

"ორი დანაღმული ავტომანქანის აფეთქებამ შედეგად სამედიცინო დაწესებულება სერიოზულად დაზიანდა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ამ დროისთვის არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. სამხედრო ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ აშშ-ს მიზანია ავღანეთიდან საკუთარი ჯარი გამოიყვანოს, თანაც ეს შესაძლოა აშშ-ს პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის წინაასარჩევნო სვლა იყოს 2020 წლისათვის. „ავღანეთში, ბაგრამი არის ჩვენი ძირითადი ბაზირების ადგილი. ქაბული, ბაგრამი და მაზარი-შარიფი - ავღანეთის სამ მთავარ ქალაქშია ჩვენი კონტიგენტი განთავსებული. ეს არის „თალიბანის" მიერ განხორციელებული ტერაქტი, რომელიც ბაზის გვერდით განთავსებული საავადმყოფოსკენ იყო მიმართული. ეს არის ერთგვარი ზეწოლის ფორმები. როგორც ვიცით, ტრამპმა გამოაცხადა, რომ "თალიბებთან" მოლაპარაკებები დაიწყო. თალიბანი არა მხოლოდ სერიოზული სამხედრო, არამედ პოლიტიკური ძალაა. ჩანს, ტრამპი აპირებს, ავღანეთიდან გამოვიდეს და ეს მისი ბოლო აკორდი იყოს. აშშ-ს პრეზიდენტი შეეცდება, რომ კონტინგენტი ავღანეთიდან გამოიყვანის და ამით თავისი საგარეო პოლიტიკური ამოცანები დაასრულოს", - ამბობს ანალიტიკოსი, რომლის აზრით, ეს შესაძლოა ტრამპის წინაასარჩევნო მთავარი მოთხოვნა იყოს და ამერიკული საზოგადოებაც ამ "მესიჯს" სრულიად იზიარებს.

"პენტაგონმა დადო 2000-გვერდიანი სპეციალური ანალიტიკური მოხსენება, სადაც პირდაპირ წერია - ამერიკელი სამხედროები კრიტიკულად აფასებენ, რომ საქმე ისე არ წავიდა, როგორც ამერიკელებს სურდათ. "თალიბები" და აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს ახორციელებენ, რომ მოახდინონ ამერიკული ჯარების გამოსვლა და ავღანეთი კვლავ ტერორისტების სავანე არ გახდეს. "თალიბები" გააქტიურდნენ, მათ სურთ შექმნან მოლაპარაკებებზე ერთგვარი მომგებიანი ფონი. გაზაფხულზე თალიბები ყოველთვის ახორციელებენ ფართომასშტაბიან სტრატეგიულ ოპერაციებს მთელი ავღანეთის მასშტაბით, იმ ფონზე, როდესაც ტერიტორიის 70%-ს "თალიბები" აკონტროლებენ. თუ ამერიკის ჯარები დაიწყებს ავღანეთიდან გამოსვლას, ალბათ საქართველოს თავდაცვის ჯარების კონტიგენტის გამოყვანის საკითხიც დადგება დღის წესრიგში", - მიიჩნევს ვახტანგ მაისაია.

"თალიბები" ებრძვიან ისლამურ სახელმწიფოს და "ალქაიდასთანაც" სერიოზული დაპირისპირებები აქვთ - ის თალიბანი აღარ არის, რომელმაც 2001 წელს ალქაიდას ხელმძღვანელობას თავშესაფარი მისცა და შემდეგ აქედან განახორციელეს ამერიკაში ტერაქტი. როგორც ჩანს, ამერიკელებს აწყობთ "თალიბებთან" ერთგვარ ფარულ ალიანსში შესვლა, "თალიბებმა", რომ გააგრძელონ ბრძოლა რადიკალურ ჯიჰადისტურ გაერთიანებებთან. "თალიბანი" ავღანეთში მთავარ პოლიტიკურ ძალად დარჩება. მინდა სრული სოლიდარობა გამოვხატო ჩვენ ღირსეული თავდაცვის ჯარების მიმართ, რომლებიც ღირსეულად იცავენ ქვეყანას ტერორიზმისაგან. ასევე გამოვეხმაურო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის არამართებულ კომენტარს. თუ რაიმე პრობლემები აქვთ ქართულ ჯარში, მხოლოდ უუნარო პოლიტიკოსებისაგან. ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმი პოლიტიკოსების არაპროფესიონალიზმს ანელებს", - დასძენს მაისაია.

ძმის ცოლი ნათელა გელაშვილი, ძმისშვილები: გია,ნონა, მამუკა მამუკელაშვილები, სიძე ელგუჯა, ძმისშვილიშვილები: გიორგი, სიმონი, ნიკოლოზი, თამარ სუარიშვილები მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ნუგზარ მამუკელაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

„მე ვირჩევ შენთან პირისპირ საუბარს“...

საზოგადოება, რომელიც მუდმივად წუწუნებს დროის სიმცირეზე, დროის დეფიციტზე სხვადასხვა საქმეების კეთებისას, თუნდაც, ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ურთიერთობისას და საკუთარ თავს პრიორიტეტების გადაწყობისკენ უბიძგებს, ხშირად ავიწყდება, რომ რესურსის 95% მთლიანად მათზეა დამოკიდებული და მხოლოდ დარჩენილი 5% არის დამოუკიდებელი, ობიექტური ფაქტორით განპირობებული.

სწორედ ამ დროს სოციალური ქსელი ერთგვარი საკვები გახდა, საზოგადოება მას ძირითადად ორი მიზნით მიმართავს - მიკუთვნებულობისა და თვითპრეზენტაციისთვის. მიკუთვნებულობის მოთხოვნა წარმოადგენს შინაგან მამოძრავებელს ამა თუ იმ ჯგუფში გაერთიანებისა და სოციალური სასურველობისთვის, თვითპრეზენტაცია კი შთაბეჭდილებათა მართვის მუდმივ პროცესს, რის გამოც, სოციალური ქსელი გვაიძულებს, რაც შეიძლება დიდი დრო დავუთმოთ მას და ჩვენ უბრალოდ ვეღარ ვწყდებით ინფორმაციის ამ უზარმაზარ ნაკადს, რომელმაც შეიძლება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური როლი შეასრულოს სხვადასხვა ტიპის ადამიანთა სოციალიზაციაში. ფაქტიურად მოშლილია სისტემა, რომელიც ქვეყანაში ღირებულებებს უნდა ქმნიდეს, არ ვიცით, რა დამსახურება ჰქონდა აინშტაინს, ვინ იყო მიქელანჯელო, სამაგიეროდ, სოციალური ქსელების დახმარებით ვიცით გვარები, რომლებიც, წარმოდგენა არ გვაქვს, რატომ უნდა ვიცოდეთ და უბრალოდ ზედმეტ ტვირთად აწევს ჩვენს მეხსიერებას. სადაც შევხვდებით ნორმალურ, კარგად აღზრდილ , განვითარებულ ახალგაზრდას , ვიცით, რომ ეს დიდწილად მისი ოჯახის დამსახურებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ძალიან სასაცილოა, იმაზე ვიფიქრო, ვიღაცამ ცერი აწია თუ არ აწია ამა თუ იმ სტატუსზე, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ბავშვების, მოზრდილების დიდი ნაწილი საზოგადოების ამ განწყობაზეა დამოკიდებული და ანგარიშს უწევს, რადგან სოციალურ ქსელებს ზოგჯერ გადამწყვეტი როლი შეუძლია ითამაშოს ამა თუ იმ პოლიტიკის განხორციელებაში, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს კვლევების მიხედვით, თუკი ადამიანები ინტერნეტში საუბრობენ პოლიტიკურ თემებზე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი რეალურ სივრცეშიც ისეთივე აქტიურები არიან, როგორც ინტერნეტში. სპეციალური ტერმინიც კი გამოიგონეს, „ინტერნეტ-აქტივიზმი”, რომელიც გულისხმობს იმას, რომ **ინტერნეტ-სივრცეში ადამიანი შეიძლება ძალიან აქტიურად იქცეოდეს, რაც შეიძლება მის რეალურ ცხოვრებასთან არ იყოს პირდაპირპროპორციული.**

დღეს, როდესაც ვსაუბრობთ ქართულ, პოლიტიკურად პოლარიზებულ ინტერნეტ-სივრცეზე, სადაც ძირითადი პოლიტიკური გაერთიანებები ცდილობენ ძალიან აქტიურად გამოიყენონ ინტერნეტი, განსაკუთრებით სოციალური ქსელები, ცდილობენ, შეხვედრები მოაწყონ ბლოგერებთან და აქციონ ისინი მათ მხარდამჭერებად ან მათი იდეების გამტარებლებად, მაგრამ , რამდენად გამოსდით ეს, საბოლოოდ მაინც საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ამას ემატება გადამოწმების პრობლემა ინტერნეტით გავრცელებული მასალის სანდოობასთან დაკავშირებით, რომელიც დღემდე „აქილევსის ქუსლად“ რჩება.

რამდენად მავნებელია თითოეული ადამიანისთვის ინტერნეტადიქცია, რა სახიფათო და სასიკეთო ცვლილება შეიძლება მოგვიტანოს ამ მოვლენამ, უფრო ღრმა და კომპეტენტური ანალიზისთვის მივმართეთ ჩვენი გაზეთის ერთგულ რესპოდენტს, **ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის ექსპერტს,** ბატონ ბესო გიგოლაშვილს: **„სოციალური ქსელებისა და ინტერნეტის ერამ სრულიად ახალი, აქამდე უცნობი, მასობრივი და ამასთანავე ოპერატიული შინაარსის საზოგადოებრივი ზემოქმედების მოწმენი გაგვხადა. მაღალი ტექნოლოგიების უსწრაფესმა განვითარებამ საშუალება მისცა კაცობრიობას, უმაგალითო ზემოქმედება მოეხდინა ცალკეული ინდივიდისა თუ მთლიანად საზოგადოების ცნობიერების მანიპულაციაზე.**

ეს რამდენადაც ადვილად მიღწევადი, ისე დამაფიქრებელიც გახდა, რადგან მთელ რიგ შემთხვევაში ამან გამოიწვია ახალი პრობლემების წარმოქმნა, რომელიც ზოგჯერ ტრაგიკულ და ფატალურ შედეგებსაც იწვევს ხოლმე...

მიმაჩნია, რომ გადაჭარბებული სარგებლობა სოციალური ქსელებით უდავოდ გამოიწვევს პიროვნების შეჩვევას კომუნიკაციის ამ სფეროსადმი. დროთა განმავლობაში ადამიანი თანდათან ხდება ხსენებული სოციალური ქსელების მეშვეობით არსებული ერთგვარი ვირტუალური სუბკულტურის შემადგენელი ნაწილი.

ქვეცნობიერად პიროვნება სოციალური ქსელის მეშვეობით თანდათან იკმაყოფილებს ერთ-ერთ მყარ მოთხოვნილებას-მისადმი გამოხატული ყურადღების დაკმაყოფილების სურვილს და სწორედ ამ მიზნით ცდილობს, სოციალური ქსელების დახმარებით მეგობართა წრის გაფართოებას.

სწორედ ზემოხსენებული ე.წ. მეგობართა წრის შექმნა-გაფართოებისკენ სწრაფვა და ამასთანავე საკუთარი პოზიციის შეუზღუდავი და დაუბრკოლებელი გამოხატვა სოციალური ქსელების მეშვეობით, თანდათანობით და შეუმჩნევლად აქცევს ხოლმე ადამიანს ამ ხელოვნური, ვირტუალური სამყაროს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად და გარკვეულწილად უბიძგებს საკმაოდ ირაციონალური, გაუაზრებელი ქცევისკენ.

სოციალური ქსელებით გადაჭარბებული სარგებლობა - ეს ერთგვარი ქვეცნობიერად გაქცევის მცდელობაა ჩვენი ზოგჯერ სასტიკი და ზოგჯერ უსამართლო სამყაროდან, რაც არასწორი გააზრებისა და შეფასების შემთხვევაში კიდევ უფრო დიდი პრობლემების მომტანი შეიძლება გახდეს. ამიტომ, უმჯობესია, თუ სოციალური ქსელებით არსებობა ხშირად ჩანაცვლდება ეპიზოდური, მაგრამ გულწრფელი და სრულიად ბუნებრივი, უშუალო, მეგობრული ურთიერთობებით” - გვეუბნება ბატონი ბესო და სრულიად ვეთანხმებით, რადგან, ცხადია, ინტერნეტის ხშირი მოხმარება ნამდვილად უარყოფითად აისახება ბავშვებისა და მომავალი თაობების მიერ არავერბალური კომუნიკაციის აღქმაზე, უფროს თაობებში კი მწვავე პრობლემად იქცევა ურთიერთობების გაცივების და ზოგჯერ საერთოდ დასრულების დასაწყისად.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ინციდენტი პარლამენტში

ჩვენ, ჩვენი თვალით დავინახეთ ორი ქალბატონი „ევროპული ნაციონალური მოძრაობიდან“, ერთს შალის ქვეშ და მეორეს ჯიბეში ჰქონდა ჩამალული, რაღაც. შემდეგ დაიქცა გარკვეული სითხე - ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი კობახიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, ოპოზიცია პრობლემებზე საუბრის ნაცვლად, სუნს აყენებს.

„ამ დივერსიის სამართლებრივი, სამედიცინო თუ ქიმიური კვალიფიკაცია არ ვიცი რა არის. გამიჭირდება ამის თქმა და ამას ექსპერტიზა დაადგენს. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, ეს არის სასოწარკვეთა და ისტერიკა. ანუ სასოწარკვეთასა და ისტერიკაშია ჩავარდნილია ოპოზიცია და ხედავთ რომ ასეთი მდარე და აბსოლუტურად იაფფასიანი ჟესტით სცადეს მათ ყურადღების მიქცევა,“ - განაცხადა კობახიძემ.

„პარლამენტში მომხდარ ინციდენტზე გამოძიება დაიწყო სსკ 117-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს“, - განაცხადეს შსს-ში. პარლამენტიდან საპატრულო პოლიციის და ექიმების დახმარებით რამდენიმე ადამიანი გაიყვანეს, მათ შორის დეპუტატი ენძელა მაჭავარიანი. დაშავებულებს სუნთქვის პრობლემები აღენიშნებათ. ერთ-ერთ მათგანს სპეციალური სასუნთქი აპარატის გამოყენება დასჭირდა.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს საკოლმეურნეო ბაზარში ფუნქციონირება დაიწყო მზა კერძების სერვისმა. კერძები მზადდება ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი პროდუქციით. ვიღებთ შეკვეთებს.
შეკვეთისთვის დაუკავშირდით:
☎ 599 55 39 77

კიდევ ერთი წარმატებული ტურნირი

7-8 დეკემბერს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი უშუში, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გუნდმა 6 პირველი ადგილი დაიკავა. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ:

ლოვა ბაიროიანი
ბექა გონაშვილი
გივი გოჩიტაშვილი
ლუკა პოპიაშვილი
გიორგი წიკლაური
ნიკა ჩიტიშვილი

გუნდს წვრთნიან **გიორგი ცისკარაული და ილია დაიაური.** დედოფლისწყაროელი სპორტსმენები, უკვე წლებია, წარმატებული გამოსვლებით ახარებენ გულშემატკივრებს. გუნდის მწვრთვნელი გიორგი ცისკარაული მადლობას უხდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორს აკაკი ნატროშვილს გვერდში დგომისთვის.

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 16.12		სამშაბათი 17.12		ოთხშაბათი 18.12		ხუთშაბათი 19.12		პარასკევი 20.12		შაბათი 21.12		კვირა 22.12	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
6°	2°	5°	1°	6°	2°	6°	1°	6°	2°	8°	2°	8°	3°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი);ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.